დანართი N1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, ეთიკის კოდექსით, შრომითი ხელშეკრულებით, ასევე შრომის დისციპლინის დაცვისა და ეთიკის სფეროში უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სხვა აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა, ასევე მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დარღვევის შესწავლისა და სათანადო ღონისძიებათა გატარებისათვის კომისიების შექმნისა და საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“ ან ,,თსუ“) შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, ეთიკის კოდექსით, შრომითი ხელშეკრულებით, ასევე შრომის დისციპლინის დაცვისა და ეთიკის სფეროში უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სხვა აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა, ასევე მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა (შემდგომში - ,,დისციპლინისა და ეთიკის ნორმები“) - დარღვევის შესწავლისა და სათანადო ღონისძიებათა გატარების მიზნით ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“ მოთხოვნათა გათვალისწინებით იქმნება კომისიები.

2. პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომისიები იქმნება რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 2. აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა, მკვლევართა, მოწვეულ პედაგოგთა/ლექტორთა პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელი კომისია

1. აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევისას იქმნება აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში - ,,ასმ კომისია“), შემდეგი შემადგენლობით:

ა) რევაზ გაჩეჩილაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

ბ) ნოდარ ელიზბარაშვილი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

გ) ზაქარია ქიტიაშვილი - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დ) ლევან საბაური - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი;

ე) მორის შალიკაშვილი - იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
ვ) ნატო ფიცხელაური - მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;
ზ) თეა წითლანაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
თ) თეიმურაზ გოგსაძე - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მოწვეული პედაგოგი;
ი) დარეჯან გარდავაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
2. კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი აირჩევა კომისიის შემადგენლობიდან კომისიის პირველ სხდომაზე, დამსწრეთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით.

მუხლი 3. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელი კომისია

1. ადმინისტრაციული პერსონალის, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების და მათი მოადგილეების, ასევე სხვა დამხმარე პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევისას საკითხს განიხილავს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია (ტექსტში შემდგომ - ,,მუდმივმოქმედი კომისია"), შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი შამათავა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ია ბაღაშვილი - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) თამარ გიორგაძე - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე (კომისიის წევრი);

დ) მარინა თედორაძე - საფინანსო დეპარტამენტის საგეგმო-საფინანსო განყოფილების მთავარი სპეციალისტი (კომისიის წევრი);

ე) გიორგი ოქიტაშვილი - წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსი (კომისიის წევრი);

ვ) რუსუდან სხირტლაძე - იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (კომისიის წევრი, კომისიის მდივანი).

2. უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ ან დამხმარე და აკადემიურ, მკვლევართა, მოწვეულ პედაგოგთა/ლექტორთა თანამდებობაზე ერთდროულად მყოფი პირის მიერ შრომის დისციპლინის დაცვისა და ეთიკის ნორმების დამდგენი აქტების მოთხოვნათა დარღვევის საკითხს განიხილავს ,,ასმ კომისია".

მუხლი 4. კომისი(ებ)ის მუშაობის წესი

1. კომისიები (შემდგომში - ,,კომისია“) უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3 მაინც.

2. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით.

3. დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დამრღვევს კომისიის მიერ უნდა მოეთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება.

4. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებლისაგან (განმცხადებელი - პირი, რომლის კორესპონდენციის საფუძველზე კომისია იწყებს საკითხის შესწავლას) მიიღოს დამატებით წერილობითი ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომლებშიც გამოიხატება დარღვევის შინაარსი.

5. კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით).

6. კომისიის საქმიანობა აისახება კომისიის სხდომის ოქმებში.

7. კომისიის სხდომა დახურულია. კომისია უფლებამოსილია, თავისი გადაწყვეტილების მიხედვით, მიმდინარე წარმოების რომელიმე ეტაპზე მოიწვიოს განმცხადებელი და ვალდებულია წარმოების რომელიმე ეტაპზე უზრუნველყოს განცხადებაში მითითებული წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული დარღვევის/დარღვევების შესაძლო ჩამდენი პირის ჩართულობა საკითხის განხილვაში.

8. წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული დარღვევის/დარღვევების შესაძლო ჩამდენი პირის მიერ დარღვევის წერილობით (ახსნა-განმარტება ან სხვ.) აღიარების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია, მხოლოდ აღნიშნული განმარტების საფუძველზე შეადგინოს დასკვნა.

9. კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის როგორც დასრულებამდე, ისე მას შემდეგ.

10. იმ შემთხვევაში თუ კომისიის წევრი არის განმცხადებელი (დაინტერესებული პირი) ან შესაძლო დამრღვევი, ასევე შესაძლო დამრღვევის ან/და განმცხადებლის ახლო ნათესავი, იგი კომისიის სხდომას არ ესწრება, საკითხი განიხილება და შესაბამისი გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მიიღება მისი, როგორც კომისიის წევრის მონაწილეობის გარეშე.

11. კომისია უფლებამოსილია აწარმოოს სხდომის ოქმი ელექტრონულად (აუდიოჩაწერის გზით), რის თაობაზეც კომისიის მიერ მიიღება ცალკე გადაწყვეტილება, რაც ეცნობება სხდომაში მონაწილე პირებს.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ ,,ახლო ნათესავში“ იგულისხმება ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები.

მუხლი 5. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. კომისია ვალდებულია შეადგინოს დასკვნა და მიუთითოს და დაასაბუთოს დარღვევის/დარღვევების არსებობა, ან არარსებობა.

2. კომისიის დასკვნას ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე და დასკვნის შედგენაში (საკითხის შესწავლაში) მონაწილე ყველა წევრი. კომისიის განსხვავებული აზრის მქონე წევრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომისიას წარუდგენს წერილობით, პირადად ხელმოწერილ მოსაზრებას კომისიის დასკვნაზე დართვის მიზნით. კომისიის წევრის წერილობით ჩამოყალიბებული განსხვავებული აზრი წარმოადგენს კომისიის დასკვნის განუყოფელ ნაწილს. ელექტრონული ოქმის წარმოების დროს, რომელიც არ საჭიროებს ხელმოწერას, განსხვავებული აზრის ქონის შემთხვევაში, კომისიის წევრის მოსაზრება უნდა დაფიქსირდეს ოქმის ელექტრონულ ჩანაწერში.

3. კომისიის მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით და ისინი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

4. კომისიის დასკვნას კომისიის თავმჯდომარე (კანცელარიის მეშვეობით) წარუდგენს რექტორს ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

5. კომისია დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევისათვის დასკვნაში (რომელიც მოიცავს საკითხის აღწერასა და კომისიის მუშაობის პროცესში გამოვლენილ და დადგენილ გარემოებებს) უთითებს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პირს ცნობს დამრღვევად და წარადგენს მას შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების 27-ე მუხლით განსაზღვრული სახდელის ერთ-ერთი ზომის გამოყენებაზე.

ბ) პირს არ ცნობს დამრღვევად.

6. კომისია, როგორც წესი, დასკვნას წარადგენს დარღვევის გამოვლენიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

7.კომისიის დასკვნის/რეკომენდაციის განხილვის საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოიყენოს სახდელის ერთ-ერთი ზომა.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით - ,,საქართველოს შრომის კოდექსით“, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების, მოქმედი კანონმდებლობით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის მიერ მიღებული შრომის დისციპლინისა და შრომითი პირობების დამდგენი სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე დებულებით.